

ნიჭილიზმისა და ღმერთის სიკვდილის პრობლემა ნიცშეს ფილოსოფიაში

თორნიკე ლელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა ბერიაშვილი, ილიას უნივერსიტეტის ფილოსოფიის
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ლელაშვილი

20.01.2019

აბსტრაქტი

ნიცშეს ფილოსოფია დღემდე არ კარგავს აქტუალურობას, როგორც აკადემიურ ისე არააკადემიურ წრეებში. ფროიდთან და მარქსთან ერთად, ნიცშე მოდერნულობისათვის უმნიშვნელოვანესი მოაზროვნეა. მისი ფილოსოფიის უმთავრეს იდეათაგან, რომლებმაც დასავლურ ფილოსოფიასა და კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინეს, აღსანიშნავია ღმერთის სიკვდილისა და ნიჰილიზმის ცნებები. მიუხედავად პოპულარობისა, დასახელებული კონცეპტები ხშირად რჩება ბუნდოვანი და გაუგებარი. ამასთანავე, მიიჩნევა, რომ მათი საშუალებით ნიცშე უპირისპირდება დასავლური ფილოსოფიის ტრადიციას. კვლევის მიზანია წარმოაჩინოს, თუ რას გულისხმობს ღმერთის სიკვდილი, რა ადგილი უჭირავს მას ნიცშეს ფილოსოფიაში და რა მიმართება აქვს მას ნიჰილიზმთან, როგორც უშუალოდ ნიცშეს ფილოსოფიის ჭრილში, ასევე ზოგადად, დასავლური ფილოსოფიის განვითარების ფონზე. კვლევა წარმოაჩენს, რომ ღმერთის სიკვდილის იდეა შეიძლება გავიგოთ ორგვარად: როგორც შედეგი და გამოვლინება ნიჰილიზმისა და ასევე, როგორც მისი საწყისი და არსი. მაშასადამე, ღმერთის სიკვდილი და ნიჰილიზმი ურთიერთს განსაზღვრავენ. თავის მხრივ, ნიჰილიზმი ნიცშეს ფილოსოფიაში გაგებულია, არა როგორც ცალსახად ნეგატიური მოვლენა, არამედ მიზანდასახულობა, რომელიც აუცილებელია „ძველ ღირებულებათა გადაფასებისათვის“ და კავშირშია ზეკაცის, მარადიული კვლავდაბრუნებისა და ძალაუფლებისადმი ნების იდეებთან. კვლევაში გამოვლენილია, რომ ნიჰილიზმი ამავდროულად არის დასავლური მეტაფიზიკის განვითარების ისტორია, რომელიც სრულდება ადამიანის მიერ თვითდადგინებით და რისი ნიშნებიც ვლინდება ჯერ კიდევ ეკჰარტის ფილოსოფიაში, რაც წარმოაჩენს, რომ ნიცშეს ფილოსოფია არაა განყენებული დასავლური ფილოსოფიის ტრადიციისაგან, არამედ მისი გაგრძელება და განსრულებაა.

საძიებო სიტყვათა ჩამონათვალი: ღმერთის სიკვდილი, მარადიული კვლავდაბრუნება, ზეკაცი, ნიჰილიზმი, ონტოლოგია, მეტაფიზიკა, ნება ძალაუფლებისადმი.

Abstract

The philosophy of Friedrich Nietzsche has never stop being highly popular both in and out of academic communities. In conjunction with Sigmund Freud and Karl Marx, he is considered as one of the greatest thinker of modern times. Amongst his main ideas, having an significant influence on Western culture and philosophy, we should mention concepts of Death of God and Nihilism, which in despite of its popularity, frequently remain as incomprehensible and obscure. Herewith, its often considered that with the abovementioned concepts Nietzsche is confronting with Western traditions of philosophy. The study focused on the meaning of Death of God, determining its role in Nietzsche's philosophy, as well as relatedness with the concept of Nihilizm both in the paradigm of his philosophy and in context of Western development.

According to a study, the idea of Death of God can be percieved in two ways: as a result and phenomenon of Nihilism and futhermore, as its origin and essence. Consequently, they mutually are determining one another. In turn, Nihilism is considered not as a unambiguously negative event, but as a crucial objective for „The revaluation of all values“ linked with the concepts of “Superior Man“, “Eternal Return” and “Will to power”.

In addition, study argues that Nihilism is a history of development of Western Metaphysics, which completes with self-establishment by humanity. Revealing the similar signs/concepts in the philosophy of Meister Eckhart shows that Nietzsche's original ideas is not separated from the Western philosophy, but is a continuation and completion of it.

Keywords: The Death of God, The revaluation of all values, Superior Man, Eternal Return, Ontology, Metaphysics, Will to power.